Covid-19 და პრო-სახელისუფლებო მედია - კორონავირუსის გაშუქება არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ

დავით ქუტიძე[1]

აბსტრაქტი

დღის წესრიგის თეორიის თანახმად, მედიას შეუძლია წინ წამოსწიოს კონკრეტული საკითხები და ამ გზით „უკარნახოს“ საზოგადოებას, თუ რაზე იფიქროს. მედიის მიერ გაშუქებულ საკითხთა წყება სხვადასხვა აქტორის ინტერესებისგანაც შედგება. მაგალითად, პოლიტიკური ლიდერებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების მიერ სუბსიდირებული კომპონენტებით. ამავდროულად, ამა თუ იმ პოლიტიკური მხარისადმი მიკერძოებული მედია უფრო დიდი დოზით ხდება კონკრეტული პოლიტიკური დღის წესრიგის გამტარი. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მედიის როლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ ნაშრომის ძირითადი კითხვაა, თუ როგორ გააშუქა ყველაზე რეიტინგულმა პრო-სახელისუფლებო მედიასაშუალებამ კორონავირუსი საარჩევნო პერიოდში და რამდენად დაემთხვა მისი დღის წესრიგი ხელისუფლების პრიორიტეტებს (სტაბილურად მძიმე ეპიდემიოლოგიურ პირობებში). დაკვირვების ობიექტად ტელეკომპანია „იმედი“ შეირჩა, კონკრეტულად, მისი მთავარი საინფორმაციო გამოშვება - „ქრონიკა“. დაკვირვება განხორციელდა 2020 და 2021 წლების არჩევნების წინა და შემდგომ თვეებში. მედიასაშუალების დღის წესრიგის გამოვლენა მოხდა „ქრონიკაში“ კორონავირუსისთვის დათმობილი დროისა და პრიორიტეტულობის მიხედვით. კვლევამ აჩვენა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დღემდე, როცა მძიმე ეპიდ-ვითარებაზე საუბარი ხელისუფლებისთვის არახელსაყრელი იყო, კორონავირუსის გაშუქებას ტელეკომპანია „იმედმა“ გაცილებით ნაკლები პრიორიტეტი და დრო დაუთმო, ვიდრე არჩევნების შემდგომ. არჩევნების წინა კვირაში, პანდემიის შესახებ სიუჟეტები ეთერში მთავარი საინფორმაციო გამოშვების დაწყებიდან ერთი საათის შემდგომ გადიოდა. არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, რომელშიც მმართველმა პარტიამ გაიმარჯვა, „იმედზე“ კოვიდ-19 -ის გაშუქება შესამჩნევად გააქტიურდა, ხოლო არჩევნების მეორე ტურის (21 ნოემბერი) შემდგომ, კორონავირუსი „იმედის“ ნომერ პირველი საკითხი გახდა. მედიის დღის წესრიგის ასეთ რადიკალურ ცვლილებას ხელისუფლების მიერ კოვიდ-რეგულაციების გამკაცრება მოჰყვა. რაც შეეხება 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინა პერიოდს, აქაც გამოიკვეთა, რომ წინასაარჩევნოდ კოვიდ-19 „იმედის“ პრიორიტეტებში ვერ ხვდებოდა. მეტიც, მონიტორინგის 27 დღიდან, 10 შემთხვევაში ამ თემაზე სიუჟეტი საერთოდ არ გასულა. არჩევნების შემდეგ პრო-სახელისუფლებო მედიასაშუალებაში კოვიდ-19 -ის თემის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად და სწრაფად (როგორც ეს 2020 წელს მოხდა) არ შეცვლილა, თუმცა, მისდამი მედიის ყურადღება მაინც შესამჩნევად გაიზარდა. შესაბამისად, ჩვენი წინასწარი დაშვებები პრო-სახელისუფლებო მედიაში კოვიდ-19 -ის გაშუქებასთან დაკავშირებით ცალსახად დადასტურდა, რამდენადაც, „იმედი“ მიჰყვებოდა ხელისუფლებისთვის ხელსაყრელ დღის წესრიგს.

[1] კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise („გნომონ ვაიზი“), საქართველოს უნივერსიტეტი. e-mail: d.kutidze@ug.edu.ge

შესავალი

უკვე თითქმის ორი წელია, კოვიდ-19 -ის ვირუსით გამოწვეული პანდემია[2] მსოფლიოს მთავარ გამოწვევად რჩება. პანდემიას და მის თანმდევ პრობლემებს მთავრობებმა განსხვავებული ეფექტურობით უპასუხეს, თუმცა, შეიძლება ითქვას, მათი დიდი უმრავლესობის მთავარ ხარვეზად ვირუსის სხვადასხვა ტალღების მიმართ არათანმიმდევრული რეაგირება იქცა.[3] ამავდროულად, დიდი ზიანი მიადგა ადამიანის უფლებებს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიზისის დროს მთავრობების მიერ დაწესებული მკაცრი შეზღუდვების გამო.[4] გარდა ამისა, არაერთი ქვეყნის მთავრობამ ვირუსი გამოიყენა საკუთარი ვიწრო პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ძალაუფლების გასამყარებლად, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებისა[5] და ზოგადად, დემოკრატიის შესაზღუდად.

ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, პრობლემური საკითხები გამოიკვეთა საქართველოს მთავრობის მიერ კორონავირუსის მართვის პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებებისა და მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის კუთხით.[6] ამასთან, ხელისუფლების ოპონენტებისა და ჯანდაცვის სხვადასხვა სპეციალისტის მიერ არაერთხელ გაჟღერდა ბრალდება იმის შესახებ, რომ მთავრობა კორონავირუსთან დაკავშირებულ აკრძალვებს პოლიტიკური მიზნებით იყენებდა, მაგალითად, წინასაარჩევნო პერიოდში შეზღუდვებს ამსუბუქებდა, ხოლო არჩევნების შემდგომ ისევ ამკაცრებდა.[7] ბუნებრივია, ამ ნაშრომის მიზანი მსგავსი მოსაზრების დადასტურება ან უარყოფა არ არის, თუმცა, მეორე მხრივ, აშკარაა, რომ ქვეყანაში ვირუსის გავრცელების საწყისმა ეტაპმა და მასზე რეაგირებამ ხელისუფლებას პოლიტიკური დივიდენდები მოუტანა. კერძოდ, 2020 წლის მარტში ვირუსის შეკავების მიზნით მიღებული მკაცრი რეგულაციების მიუხედავად,[8] საზოგადოებაში მთავრობისა და კონკრეტულად პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მიმართ დადებითი დამოკიდებულება მკვეთრად გაიზარდა. თუკი 2019 წლის დეკემბერში მთავრობის საქმიანობას დადებითად 30% აფასებდა, 64% კი უარყოფითად,[9] 2020 წლის იგივე პერიოდში მთავრობის მიმართ პოზიტიური განწყობა 50%-მდე გაიზარდა, უარყოფითი კი - 38%-მდე შემცირდა.[10] სავარაუდოა, რომ პოლიტიკურად არასტაბილური 2019 წლის[11] ფონზე, მთავრობისა და პრემიერის ნეგატიური რეიტინგი შემდგომ

---

[2] World Health Organization. Coronavirus disease (COVID-19) pandemic. https://bit.ly/38Tibl2

[3] The Economist. 2021. What to do about covid-19's threatening new variant. https://econ.st/3DjvdVB

[4] John Glenn. U.S. Global Leadership Coalition. 2021. COVID-19 Brief: Impact on Democracy Around the World. https://bit.ly/3xQVsBz

[5] დავით ქუტიძე. Gnomon Wise. 2021. კორონავირუსის შესახებ „დეზინფორმაციასთან ბრძოლის" საბაბით დაწყებული სამთავრობო ცენზურის პანდემია. https://bit.ly/3i1iIGl

[6] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED); საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI). 2021. დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიისა და საგანგებო მდგომარეობის პირობებში. https://bit.ly/3pqS38G

[7] ონლაინგამოცემა „პუბლიკა". 2020. როგორ აფასებს ოპოზიცია მთავრობის ახალ შეზღუდვებსა და რეგულაციებს. https://bit.ly/3G8Qtz9

[8] Fact-Check საქართველო. 2021. საქართველოში კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება და პრევენციული ქმედებები - ქრონოლოგია. https://bit.ly/3lwkS2G

[9] NDI-ის დაკვეთით CRRC-ის მიერ ჩატარებული გამოკითვა. საზოგადოების განწყობა საქართველოში. 2019 წლის დეკემბერი. https://bit.ly/3de30oH

[10] NDI-ის დაკვეთით CRRC-ის მიერ ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვა. საზოგადოების განწყობა საქართველოში. 2020 წლის დეკემბერი. https://bit.ly/3y3ubMB

[11] Amnesty International. 2019. Georgia: Heavy-handed police response calls for urgent investigation. https://bit.ly/3pltWs9

წელს იმის ხარჯზე გამოსწორდა, რომ საქართველო ვირუსის პირველ ტალღას (თუმცა, ფაქტობრივად სრული ჩაკეტვისა და ეკონომიკის გაჩერების ხარჯზე) მეტ-ნაკლებად კარგად გაუმკლავდა. ამის შესახებ, მათ შორის, საერთაშორისო გამოცემებიც წერდნენ.[12]

ზემოაღნიშნული რეალობის სათავისოდ გამოყენება, ბუნებრივია, მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ ინტერესებში იყო, განსაკუთრებით, მოსალოდნელი საპარლამენტო არჩევნების წინ.[13] ვირუსის წარმატებული მართვის შესახებ ამ საკითხზე პასუხისმგებელი ეპიდემიოლოგები, ექიმები,[14] ასევე საპარლამენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ინტენსიურად საუბრობდნენ.[15] თუმცა, 2020 წლის ზაფხულში შემსუბუქებული შეზღუდვებისა და დარჩენილი რეგულაციების ნაკლები აღსრულების ფონზე, სექტემბრიდან საქართველოში კორონავირუსის მეორე ტალღა დაიწყო და ეპიდემიოლოგიური სიტუაცია მკვეთრად გაუარესდა. ამ პირობებში, ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა რაც შეიძლება დიდხანს შეენარჩუნებინა გაზაფხულზე მოპოვებული, ვირუსთან წარმატებული მებრძოლის იმიჯი, რათა 2020 წლის 31 ოქტომბერს გასამართი არჩევნების წინ მისი ხმებში ასახვის საშუალება ჰქონოდა. შესაბამისად, მისთვის არჩევნების გადადება არახელსაყრელი იყო. ხელისუფლების წარმომადგენლები და ვირუსთან გამკლავების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს[16] წევრი ეპიდემიოლოგები ვერ ხედავდნენ არჩევნების გადადების საჭიროებას,[17] საუბრობდნენ უსაფრთხო გარემოზე, პოტენციურ (მხოლოდ) წერტილოვან შეზღუდვებზე და გამორიცხავდნენ ქვეყნის მასშტაბით ჩაკეტვას.[18] თუმცა, ფაქტობრივად არჩევნების დასრულებისთანავე, მთავრობამ რეგულაციები კვლავ (ქვეყნის მასშტაბით) გაამკაცრა.

2021 წელს, პრემიერის პოსტიდან გიორგი გახარიას გადადგომისა და მის შემცვლელად ირაკლი ღარიბაშვილის მოსვლის შემდგომ, კორონავირუსის მართვის პოლიტიკა შეიცვალა. ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ აღარ აპირებდა მკაცრი რეგულაციების გამოყენებას ვირუსის შეკავების მიზნით, რადგან ამას ეკონომიკა ვეღარ გაუძლებდა.[19] ამასთან, მისი ინიციატივით, ეპიდემიის გამო დაწესებული საგანგებო მდგომარეობის დროს რეგულაციების დამრღვევ მოქალაქეთა ჯარიმებიც გაუქმდა.[20] იმ ფონზე, რომ საქართველოს უკვე დიდი ხნის

---

[12] Rayhan Demytrie. BBC. 2020. Coronavirus: How 'three musketeers' helped Georgia fight virus. https://bbc.in/3rzwR38

[13] Neil Hauer. Radio Liberty. 2020. A Deceptive Dream? Georgian Government Hopes Early Coronavirus Success Results in Ballot Box Success. https://bit.ly/3poUMj5

[14] პირველი არხი. 2020. თენგიზ ცერცვაძე - სატელეფონო საუბრებში ყოველთვის მაღალ შეფასებებს ვიღებთ, მაგრამ ენტონი ფაუჩის წერილი სულ სხვა იყო, რადგან ის მსოფლიოში ნომერ პირველი ფიგურაა. https://bit.ly/3lzgD6p

[15] თამუნა გეგიძე. On.ge. 2021. კორონავირუსის პირველი შემთხვევიდან 1 წელი გავიდა და ქვეყანა "ვერ არის კარგად". https://bit.ly/3xOnrSm

[16] საქართველოს მთავრობის დადგენილება #164. 28 იანვარი, 2020 წელი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://bit.ly/3dq9Gjn

[17] რადიო თავისუფლება. 28.10.2020. ამირან გამყრელიძე: არჩევნების პროცესი იქნება საკმაოდ უსაფრთხო. უნდა მოვიხადოთ მოქალაქეობრივი ვალი. https://bit.ly/3otROuA

[18] ფორმულა. 14.10.2020. გამყრელიძე: იქნება წერტილოვანი შეზღუდვები, მათ შორის თბილისშიც. https://bit.ly/3xWAVvo

[19] რადიო თავისუფლება. 05.08.2021. ღარიბაშვილი: გაუმართლებელია ქვეყნის ხელახალი ჩაკეტვა, ეკონომიკას არ შევაჩერებთ. https://bit.ly/3IqtBx6

[20] რადიო თავისუფლება. 24.06.2021. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით პანდემიის დროს გამოწერილი ჯარიმები უქმდება. https://bit.ly/3psw2qk

დაკარგული ჰქონდა მწვანე სტატუსი, ინფიცირებისა და გარდაცვალების შემთხვევები კი უმეტესწილად მზარდი იყო, კორონავირუსთან მიმართებაში ხელისუფლების დამოკიდებულებაც შეიცვალა. მასზე აქცენტირება აღარ წარმოადგენდა მთავრობისთვის რაიმე დამატებითი პოლიტიკური აქტივის მიღების საშუალებას 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ. აქვე იმის თქმაც შეიძლება, რომ 2020 წელთან შედარებით, საზოგადოებაც მეტ-ნაკლებად შეეჩვია ვირუსთან ერთად ცხოვრებას.[21]

ზემოთ განხილულ ორ წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელისუფლების დღის წესრიგი ეპიდემიასთან დაკავშირებით დროდადრო იცვლებოდა. ამ ფონზე კი, საინტერესოა, თუ რა როლი ჰქონდა მედიას აღნიშნულ პროცესებში. რადგან, როგორც არაერთი ემპირიული კვლევა გვიჩვენებს, მედიას აქვს შესაძლებლობა უკარნახოს საზოგადოებას თუ რაზე იფიქროს, რა თემები იყოს მისთვის მნიშვნელოვანი. განსაკუთრებით საინტერესოა პრო-სახელისუფლებო მედიაზე დაკვირვება, რათა წარმოვაჩინოთ, რამდენად მიჰყვებოდა ის სახელისუფლებო დღის წესრიგს 2020 და 2021 წლების საარჩევნო პერიოდებში და ასახავდა თუ არა საკითხებს იმ პრიორიტეტულობით, როგორც ეს ხელისუფლებისთვის შეიძლება ყოფილიყო ხელსაყრელი. ამ მიზნით, დასაკვირვებლად გამოვარჩიეთ ტელეკომპანია „იმედი“, რომელიც მონიტორინგის არაერთი ანგარიშის თანახმად,[22] ხელისუფლებისადმი ლოიალური მედიასაშუალებაა და ამავდროულად, ჰყავს ყველაზე მეტი მაყურებელი ქართულ სატელევიზიო არხებს შორის.[23] დაკვირვების ობიექტი იყო „იმედის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება - „ქრონიკა“ 20:00 საათზე (ასევე „შაბათის ქრონიკა“, რომელიც ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვებისგან ოდნავ განსხვავებული ფორმატით გადის ეთერში) - 2020 და 2021 წლების არჩევნების წინა და შემდგომ თვეებში, რათა გამოგვევლინა, როდის და რა პირობებში ხდებოდა კორონავირუსის გავრცელების საკითხი ამ კონკრეტული მედიასაშუალებისთვის პრიორიტეტული. აღსანიშნავია, რომ დროის ყველა ზემოხსენებულ მონაკვეთში ვირუსის გავრცელებისა და გარდაცვალების შემთხვევების მეტწილად აღმავალი ტენდენცია შეინიშნებოდა. ეს გარემოება კი, მედიაზე დაკვირვებისთვის თანაბარ პირობებს იძლევა, რაც მისი დღის წესრიგის დასადგენად უფრო ზუსტ სურათს გვაძლევს. ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია დღის წესრიგის (agenda-setting) თეორია.

მედიის დღის წესრიგის თეორია

აუდიტორიაზე მედიის გავლენის შესახებ არაერთი თეორია და ემპირიული კვლევა არსებობს. ამათგან, ერთ-ერთი ყველაზე ძველი, დღის წესრიგის (agenda-setting) თეორიაა, რომლის თანახმადაც, მედია წინ წამოსწევს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ყოველდღიურობის ისეთ საკითხებს, რომელთა შესახებ საუბარსაც ის მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ამ გზით, მედია ადგენს დღის წესრიგს საზოგადოებისთვის, მიუთითებს მას იმაზე, თუ რა თემაა კონკრეტულ პერიოდში აქტუალური. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მედია „კარნახობს“ აუდიტორიას, თუ რაზე იფიქროს. ფრაზა - „დღის წესრიგის შედგენა“, გულისხმობს საზოგადოების ყურადღების ცენტრში მყოფი აქტუალური საკითხების წყებას, როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო დონეზე. ამა თუ იმ საკითხზე მოქალაქეთა ყურადღების

[21] The Economist. 2021. How the world learns to live with covid-19. https://econ.st/3ptdJ43
[22] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. მედიამონიტორინგი. https://bit.ly/3pnZttu
[23] TVMR საქართველო. სატელევიზიო აუდიტორიის კვლევა. https://bit.ly/3DEyaAp

მობილიზებას კი, მასობრივი მედია უზრუნველყოფს. შესაბამისად, დღის წესრიგის შედგენაში მედიას ერთ-ერთი უმთავრესი როლი აქვს (McCombs, 2004).

დღის წესრიგის თეორიის პირველი მონახაზი, შეიძლება ითქვას, მე-20 საუკუნის დასაწყისში, მედიის როლის ზრდასთან ერთად წარმოიშვა. Lippmann-მა (1922) თავის კლასიკურ ნაშრომში „საზოგადოებრივი აზრი“, ამ ფენომენის შესახებ ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, ახალი ამბების მედია არის პირველადი წყარო იმ წარმოდგენებისა ჩვენს თავებში, რომელიც ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო დიდ სამყაროს, რომელიც მოქალაქეების უმეტესობისთვის მიუწვდომელია და არსებობს მათი მხედველობისა თუ ცოდნის მიღმა. ის, რაც ჩვენ ვიცით მსოფლიოს შესახებ, დიდწილად ეფუძნება იმას, რასაც მედია გადაწყვეტს რომ გვითხრას. სამყაროს ამ შუამავლობითი ხედვის შედეგი კი ისაა, რომ მედიის პრიორიტეტები ძლიერ გავლენას ახდენს საზოგადოების პრიორიტეტებზე. მედიის დღის წესრიგში გამორჩეული ელემენტები საზოგადოებისთვისაც მნიშვნელოვანი ხდება (Lippmann, 1922, გვ. 19).

მედიის დღის წესრიგის თეორიის ახსნის პირველი ფორმალური მცდელობები ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტში დაიწყო. თეორიის ფუძემდებლად McCombs და Shaw-ს (1972) ნაშრომი ითვლება, რომელმაც 1968 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქების საფუძველზე გამოავლინა მედიის შესაძლებლობა, მოახდინოს გავლენა საზოგადოების დღის წესრიგზე. კერძოდ, კვლევამ, რომელიც ქალაქ ჩეპელ ჰილში ჩატარდა, შეისწავლა სხვადასხვა ეროვნული და ადგილობრივი მასშტაბის მედიასაშუალების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში აქცენტირებული საკითხები. ამავდროულად, ავტორებმა გამოკითხეს ზემოაღნიშნული ქალაქის მაცხოვრებლები, რათა დაედგინათ მათთვის მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური თემები. კვლევა იმ მოქალაქეების გამოკითხვას გულისხმობდა, რომლებიც პოლიტიკით დაინტერესებულნი იყვნენ, თუმცა გადაწყვეტილი არ ჰქონდათ რომელ კანდიდატს მისცემდნენ ხმას. ასეთი ამომრჩევლები იმ პრინციპით შეირჩნენ, რომ მათი პოზიციიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, უფრო მეტად ღია იქნებოდნენ მედიის გავლენის მიმართ. როგორც აღმოჩნდა, მედიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ამომრჩევლების შეფასებებზე, თუ რას თვლიდნენ წინასაარჩევნო კამპანიის მთავარ საკითხებად. კორელაცია მედიის მიერ აქცენტირებულ საკითხებსა და გამოკითხულ რესპონდენტთა დღის წესრიგს შორის, საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა. ავტორთა დასკვნით, ახალი ამბების არჩევისა და ჩვენებისას, რედაქტორები, საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლები და ზოგადად მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური რეალობის ჩამოყალიბებაში. ჩეპელ ჰილის კვლევის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი მასკომუნიკაციაში ტერმინის - დღის წესრიგის შედგენა (agenda-setting) - დამკვიდრებაც გახდა.

McCombs (2011) აღწერს თუ როგორ მუშაობს პრაქტიკაში მედიის მიერ დღის წესრიგის შექმნა: „გაზეთები გვაწვდიან უამრავ მინიშნებს ყოველდღიური ახალი ამბების თემების გამორჩეულობის შესახებ - მთავარი ამბავი განთავსებულია პირველ გვერდზე, ასევე, მთავარი ისტორიები გამოყოფილია დიდი სათაურებით და ა.შ. ტელევიზიებში, აღნიშნული გამოიხატება სიუჟეტისთვის დათმობილი დროის, მათი ეთერში გასვლის რიგითობისა და სხვა მსგავსი დეტალებით. ეს მინიშნებები, რომლებიც ყოველდღიურად მეორდება, ეფექტურად გამოხატავს თითოეული თემის მნიშვნელობას. ამდენად, საინფორმაციო მედიას შეუძლია საზოგადოების ყურადღება შეაჩეროს საკითხების იმ მცირე ჯგუფზე, რომლის გარშემოც ყალიბდება

საზოგადოებრივი აზრი“ (გვ. 1). ამერიკელი იუმორისტი უილ როჯერსი ამბობდა: „რაც ვიცი, ვიცი მხოლოდ გაზეთებიდან“. ეს ფრაზა მოკლედ და ზუსტად გამოხატავს რეალობას. კერძოდ, იმ ფაქტს, რომ საჯარო მოვლენების შესახებ ჩვენი ცოდნა პირდაპირი, უშუალო კომუნიკაციის შედეგი არ არის. ყოველდღიური მოვლენების შესახებ მოქალაქეები მეორად ინფორმაციას იღებენ, ამბებს, რომლებიც ჟურნალისტების მიერ არის გადამუშავებული და წარმოდგენილი. ამდენად, მედიას შეუძლია გამოიწვიოს დისკუსია საზოგადოებაში და დააფიქროს ის სხვადასხვა მოვლენაზე, შესაბამისად, შექმნას მისი დღის წესრიგი (McCombs, 2004).

ზემოაღნიშნულის პრაქტიკულ მტკიცებულებად, შეიძლება ამერიკის შეერთებულ შტატებში კრიმინალის გაშუქების საკითხი მოვიყვანოთ. 1992 წელს ტექსასში ჩატარებულ გამოკითხვებში, კითხვაზე - „რა არის ქვეყნის მთავარი პრობლემა“? - გამოკითხულთა მხოლოდ 2% პასუხობდა, რომ ეს კრიმინალი იყო. თუმცა, 1994 წელს, როცა მედიაში კრიმინალის თემა აქცენტირებულად შუქდებოდა, ექვსი თვის განმავლობაში ჩატარებული კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა ერთი მესამედი ქვეყნის მთავარ პრობლემად სწორედ კრიმინალს ასახელებდა. ეს რიცხვი მოულოდნელად მაღალი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი სავარაუდო პასუხი Gallup-ის გამოკითხვებში 1930 წლიდან გვხვდებოდა. ამ ისტორიაში კი მთავარი ისაა, რომ აღნიშნულ პერიოდში, სინამდვილეში, კრიმინალის დონე იკლებდა. შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი აცდენა საზოგადოებრივ აზრსა და რეალობას შორის, მედიის მიერ კრიმინალის თემის ხშირი გაშუქების შედეგი იყო (McCombs, 2004).

როგორც წინა მაგალითზე ვნახეთ, საზოგადოებრივი დღის წესრიგი - საზოგადოების ყურადღების კონცენტრაცია ამა თუ იმ საკითხზე - ჩვეულებრივ ფასდება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებით, მაგალითად, როგორიცაა Gallup Poll-ის საკმაოდ „ხანდაზმული“ და კვლავაც აქტუალური კითხვა, „რა არის დღეს ქვეყნის წინაშე არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა?“. მედიის დღის წესრიგის შედარება ამ გამოკითხვის პასუხებთან, რომლებიც აფასებენ საინფორმაციო საშუალებების მომხმარებელთა დღის წესრიგს, იძლევა მნიშვნელოვან მტკიცებულებას მედიის ზეგავლენის შესახებ.

საინფორმაციო მედიის დღის წესრიგის განსაზღვრის გავლენის თავდაპირველი კვლევა, როგორც აღვნიშნეთ, ჩეპელ ჰილში ჩატარდა და მხოლოდ ერთ წინასაარჩევნო პერიოდს მოიცავდა. შემდგომმა კვლევებმა კი, შეისწავლეს გაცილებით ხანგრძლივი პერიოდები - მაგალითად, ერთწლიანი, ცხრა ტალღოვანი პანელური კვლევა 1976 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რომელმაც ასევე აღმოაჩინა მტკიცებულება საზოგადოების დღის წესრიგის დადგენის პროცესში მედიის როლის შესახებ (Weaver, et al. 1981). 1960-იანი წლების, ანუ მთელი ათწლეულის გადახედვამ გამოავლინა არსებითი კავშირი მედიის მიერ აქცენტირებულ საკითხებსა და საზოგადოებრივი აზრის ტენდენციებს შორის (Funkhouser, 1973).

დღის წესრიგის თეორიაზე დაყრდნობით გამოვლენილი მედია ეფექტების არსებობა სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა ქვეყანაში დასტურდება. აღსანიშნავია, რომ თეორია ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატების რეალობაზეა აგებული, რადგან მისი „დამფუძნებელი მამები“ - Shaw, Weaver, McCombs ამერიკელები არიან და მსგავსი კვლევების უმეტესობა ამერიკაშია ჩატარებული. თუმცა, თეორიის ვალიდურობა დადასტურებულია ბრიტანეთში, ესპანეთში, იაპონიაში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ჩატარებული დაკვირვებების საფუძველზეც (McCombs, 2004). მტკიცებულებები დღის წესრიგის დადგენის როგორც

ეროვნული, ისე ლოკალური ეფექტების შესახებ გვხვდება მრავალფეროვან გარემოში მსოფლიოს მასშტაბით. 1995 წლის გაზაფხულზე პამპლონას (ესპანეთი) მაცხოვრებლების მთავარი საზრუნავი იყო ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე და ურბანული გადატვირთვა. საზოგადოებრივი დღის წესრიგში მყოფი ძირითადი საზრუნავის შედარებამ ადგილობრივ ახალ ამბებთან აჩვენა ძლიერი კორელაცია ადგილობრივი მედიის დღის წესრიგთან (Canel, et al. 1996). ლოკალურ დონეზე დღის წესრიგის ეფექტი ასევე გამოვლინდა ტოკიოს მეტროპოლიტენის ერთ-ერთი ქალაქის, მაჩიდას მუნიციპალიტეტის მერის 1986 წლის არჩევნებზე (Takeshita, 1993). მედიის დღის წესრიგის თეორიას რელევანტურობა არც 21-ე საუკუნეში დაუკარგავს. ამერიკის შეერთებული შტატების 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ასევე გამოვლინდა მედიისა და საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხების შესამჩნევი თანხვედრა (Wu and Coleman, 2009). თეორიის დამადასტურებელი მიგნებები გამოავლინა 2010 წელს მალაიზიაში ჩატარებულმა კვლევამაც. კერძოდ, მან აჩვენა, რომ ახალი ამბების მედიის მოხმარება ძლიერ გავლენას ახდენს ინტერპერსონალურ დისკუსიებზე, ახალგაზრდების მიერ ოჯახში და სამეგობრო წრეში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების განხილვის გზით (Saodah, et al. 2010). მედიის შესაძლებლობა, დაადგინოს დღის წესრიგი აუდიტორიისთვის, თანამედროვე, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების ეპოქაშიც რელევანტურია. Lu, et al. (2019) კვლევის თანახმად, რომელიც ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებას და ამ თემის მედიაში გაშუქების კავშირს ეხებოდა, გამოვლინდა საინფორმაციო მედიის დადებითი გაშუქების, როგორც წინაპირობის მნიშვნელობა ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ანალოგიურად, კლიმატის ცვლილების საკითხის აქტუალიზაციაში მედიის დღის წესრიგის მნიშვნელოვან გავლენას ადგენს Tavakolifar, et al. (2021) კვლევა. ავტორთა დასკვნის თანახმად, მედიის გაძლიერებული ყურადღება კლიმატის ცვლილების საკითხის მიმართ, უბიძგებს სხვადასხვა კორპორაციას ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ.

ზემოთ განხილული ნაშრომები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ემპირიული კვლევებისა, რომლებიც მედიის დღის წესრიგის თეორიას ამტკიცებენ. თუმცა, ამ რამდენიმე მაგალითზეც ჩანს მედიის შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს სხვადასხვა ეროვნების, რასისა თუ ეპოქის წარმომადგენელ აუდიტორიაზე და მიუთითოს იმაზე, თუ რაზე იფიქროს. ბუნებრივია, მედიის ეს ეფექტი ინდივიდუალურ დონეზე ყოველთვის მაღალი და ერთმნიშვნელოვანი არ არის. იგი განპირობებულია ძირითადი ფსიქოლოგიური მახასიათებლით, ინდივიდის ორიენტაციის საჭიროებით. თითოეულ ჩვენგანში ბუნებრივად დევს ჩვენ გარშემო არსებული გარემოს გაგების მოთხოვნილება. როდესაც ახალ სიტუაციაში აღმოვჩნდებით, ჩნდება არასასიამოვნო ფსიქოლოგიური განცდა, სანამ არ გამოვიკვლევთ და გონებრივად არ ჩავწვდებით ამ გარემოს კონტურებს. ორიენტაციის ეს თანდაყოლილი მოთხოვნილება ასევე არსებობს სამოქალაქო ასპარეზზე, განსაკუთრებით არჩევნებში, სადაც მოქალაქეები უცნობ კანდიდატებს ან რეფერენდუმის კითხვებს აწყდებიან, რომლებზეც მათ არ აქვთ სრული ცოდნა. ყველა ამ და ბევრ სხვა სიტუაციაში ადამიანები განიცდიან ორიენტაციის საჭიროებას და მიმართავენ მედიას. იმ პირებს შორის, რომლებისთვისაც მაღალია როგორც შესაბამისობა, ისე გაურკვევლობა სიტუაციის მიმართ, მაღალია ორიენტაციის საჭიროება. ეს ადამიანები, როგორც წესი, ახალი ამბების ხშირი მომხმარებლები არიან და მათში დღის წესრიგის დამყარების ძლიერი ეფექტები

ვლინდება (McCombs, 2011). ამავდროულად, არიან ინდივიდები, რომლებიც ნაკლებად ინტერესდებიან მიმდინარე პოლიტკურ-საზოგადოებრივი საკითხებით და ნაკლებად მოიხმარენ მედიას, შესაბამისად, დღის წესრიგის ეფექტიც მათზე ნაკლებია. თუმცა, როგორც აღინიშნა, დღის წესრიგის თეორიაზე საუბრისას ჩვენ ვსაუბრობთ საზოგადოების, როგორც ჯგუფის მიდრეკილებებზე და არა ცალკეულ ინდივიდებზე.

დღის წესრიგის თეორიის ვალიდურობაში დარწმუნების შემდეგ, მედიის მკვლევართა ინტერესი კიდევ უფრო შორს წავიდა და ამ თეორიის მრავალ სხვადასხვა ასპექტს შეეხო. ამ თეორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იმის შესწავლაა, თუ ვინ განსაზღვრავს მედიის დღის წესრიგს. ზემოთ ორი ძირითადი დღის წესრიგი - მედიის და საზოგადოების დღის წერიგები განვიხილეთ. თუმცა, კითხვამ - ვინ ქმნის მედიის დღის წესრიგს? - სხვა ელემენტების იდენტიფიცირების საჭიროებაც წარმოშვა. მაგალითად, ესენია: ორგანიზაციების, დაინტერესებული ჯგუფების, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების და პოლიტიკური კამპანიების დღის წესრიგები. დღის წესრიგის თეორიის შესახებ სახელმძღვანელოში McCombs (2004) კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან დღის წესრიგს გამოყოფს: *1. საპრეზიდენტო და ეროვნული დღის წესრიგი* - პოლიტიკური ლიდერის, განსაკუთრებით ქვეყნის პირველი პირის როლი მედიის დღის წესრიგის შედგენაში საკმაოდ დიდია. მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტი ამ ქვეყნის ახალი ამბების ნომერ პირველი წყაროა. თეორიულად, ყველა აქტივობა, რასაც პრეზიდენტი დღის განმავლობაში ახორციელებს მედიის და საზოგადოების ყურადღებას იმსახურებს. პრეზიდენტის მიერ გაჟღერებული გზავნილები საზოგადოებას მედიის საშუალებით გადაეცემა, შესაბამისად, პრეზიდენტს საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. მსგავსი გამოსვლების და მათ მიმართ საყოველთაო ყურადღების მაგალითები კი, ისტორიაში მართლაც მრავლად მოიპოვება. *2. მედიის დღის წესრიგის სუბსიდირება* - თანამედროვე მედიისთვისაც კი, ყველა საერთაშორისო თუ ლოკალური საკითხის თანაბრად მოცვა და გაშუქება შეუძლებელია. ამასთან, მედიის მიერ მოპოვებული ინფორმაციის დიდი ნაწილი მთავრობისა თუ გავლენიანი პირების საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების მიერ მიწოდებული სიახლეებისგან შედგება. ხშირად, მედიას მათი მესიჯების უცვლელად გაშუქება უწევს. ამდენად, საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტები მედიის დღის წესრიგზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. *3. მედიის დღის წესრიგის მიტაცება* - პოლიტიკური აქტორების ერთ-ერთ მთავარ მიზანს მედიის დღის წესრიგის მიტაცება წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდშია საჭირო, მაშინ როცა მედიაში კონკურენტებზე უფრო ბევრჯერ, სასურველი კუთხით გამოჩენა უაღრესად მნიშვნელოვანია. მედიის დღის წესრიგის გაკონტროლების შემთხვევაში, პოლიტიკური აქტორები ირიბად საზოგადოების დღის წესრიგსაც გააკონტროლებენ, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, მედიის დღის წესრიგი საზოგადოების დღის წესრიგის შედგენისას გადამწყვეტ როლს თამაშობს. *4. დღის წესრიგის შედგენა ლიდერი მედიასაშუალების გავლენით (intermedia agenda-setting)* - ხშირად, მედიის დღის ზოგად წესრიგს გავლენიან გამოცემებში პირველ გვერდზე გასული საკითხებიც განსაზღვრავენ. აშშ-ში ერთ-ერთი ასეთი გავლენიანი დღის წესრიგის შემდგენელი „ნიუ იორკ თაიმსია“. ხშირად, ნაკლებ გავლენიანი ან ლოკალური მედიისთვის სწორედ „თაიმსის“ პირველ გვერდზე გასული საკითხები ხდება პრიორიტეტული. შესაბამისად, გავლენიანი გამოცემა მთლიანი მედიის დღის წესრიგს ადგენს.

როგორც ვხედავთ, აუდიტორიის დღის წესრიგზე მხოლოდ და მხოლოდ მედია არ ზემოქმედებს. ამასთან, არც საზოგადოებაა ის ერთარდერთი, ვის დაკვეთასაც, დღის წესრიგში შესატანი თემების შესახებ, მედია ითვალისწინებს. დღის წესრიგის ჩამოყალიბება კომპლექსური პროცესია, რომელშიც არაერთი აქტორი მონაწილეობს. ამათგან, განსაკუთრებით გამოსარჩევია პოლიტიკური აქტორები და მათი მცდელობები, გამოიწვიონ, მართონ მოვლენები. Walgrave და Van Arlst (2006) განიხილავენ დღის წესრიგის შედგენის საკითხს ორი პერსპექტივიდან - ერთი მათგანი წარმოდგენილია მედიის მკვლევართა მიერ და ამყარებს მოსაზრებას, რომ მედიას აქვს წამყვანი როლი დღის წესრიგის შედგენაში, ხოლო მეორე მხრივ, პოლიტიკის მკვლევარების არგუმენტებს იმის შესახებ, თუ როგორ ზემოქმედებენ პოლიტიკური აქტორები (მთავრობა, პარლამენტი, პოლიტიკური პარტიები და ა.შ.) მედიის და, შესაბამისად, საზოგადოების დღის წესრიგზე. აღსანიშნავია, რომ ორივე პერსპექტივის წარმომადგენლებს აქვთ თავიანთი მყარი არგუმენტები, რაც გვაფიქრებინებს იმაზე, რომ დღის წესრიგის შედგენა ორივე მხარის - მედიისა და პოლიტიკური აქტორების - მუშაობის შედეგია და ამ პროცესში რომელიმე მათგანის დომინანტად წარმოჩენა მხოლოდ ცალკეული სიტუაციების დროსაა შესაძლებელი. მაგალითად, საგამოძიებო სიუჟეტებისა თუ სხვადასხვა სენსიტიური საკითხების გაშუქების ხარჯზე, მედიის როლი უფრო წინ წამოიწევა, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში (მაგ. წინასაარჩევნო კამპანიების დროს) პოლიტიკოსების აქტივობების გაშუქება მედიას უფრო კონკრეტული პოლიტიკური დღის წესრიგის გამტარად აქცევს.

ზემოთ მოცემული კვლევების განხილვისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი ძირითადად საუბრობენ ისეთ პირობებზე, სადაც მედიის თავისუფლება ძირითადად დაცულია, სახელისუფლებო ჩარევები კი მინიმუმამდეა დაყვანილი. ხოლო, თუ ეს ასე არ არის და კონკრეტულ ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხი დაბალია, ან კიდევ წინა პლანზე გამოდიან მედიის დამფინანსებლები კონკრეტული პოლიტიკური ინტერესებით, ასეთ დროს, მოსალოდნელია, რომ ბალანსი მედიისა და პოლიტიკურ დღის წესრიგს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დაირღვევა. ასეთი მოცემულობა საფრთხეს ქმნის დემოკრატიისთვის, რადგან გარდა დღის წესრიგის შედგენისა, არაერთი კვლევა ასევე მიანიშნებს იმაზე, რომ მედიას აქვს შესაძლებლობა, საზოგადოებას მოვლენა მისთვის (მედიისთვის) სასურველი კუთხით შესთავაზოს. ასეთ შემთხვევაში კი, მედია აუდიტორიას მიანიშნებს არა მხოლოდ იმაზე თუ რაზე იფიქროს, არამედ იმაზეც, თუ როგორ იფიქროს. მასობრივი კომუნიკაციების მკვლევარები ამ ფენომენს მეორე დონის დღის წესრიგს უწოდებენ (second-level agenda-setting). პირველი დონის დღის წესრიგისგან განსხვავებით, მეორე დონის დღის წესრიგი შეისწავლის მედიის შესაძლებლობას, გამოჰყოს ცალკეული ატრიბუტები უშუალოდ საკითხებს შორის (გარკვეული კომპონენტების უფრო მეტი დეტალიზაციით, თემის მეტად სუბიექტური პერსპექტივიდან გაშუქებით) და ამ გზით შესთავაზოს აუდიტორიას ამა თუ იმ მოვლენის მზა, ჟურნალისტის პერსპექტივიდან დანახული ჩარჩოები (Weaver, 2007). იმის მიუხედავად, რომ ამ ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს კოვიდ-19 -ის შესახებ პრო-სახელისუფლებო მედიის მიერ შემოთავაზებული დღის წესრიგი, ანუ ის, თუ რა პრიორიტეტს ანიჭებდა ამ თემას კონკრეტული მედიასაშუალება, ანალიზის პროცესში, ცალკეულ შემთხვევებში, დავინახავთ მედიის მიერ გამოყენებულ ატრიბუტებსაც, რაც სწორედ მეორე დონის დღის წესრიგის შესწავლის საგანია.

პრო-სახელისუფლებო მედიაზე დაკვირვების მეთოდოლოგია

დღის წესრიგის თეორიის განხილვამ აჩვენა, რომ მედია საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების „კარნახს“ ცდილობს. ამასთან, საკითხთა ეს წყება შეიძლება სხვადასხვა აქტორის ინტერესებისგანაც შედგებოდეს. მაგალითად, პოლიტიკური ლიდერებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების მიერ სუბსიდირებული კომპონენტებით. ამავდროულად, ამა თუ იმ პოლიტიკური მხარისადმი მიკერძოებული მედია უფრო ჭარბი დოზით ხდება კონკრეტული პოლიტიკური დღის წესრიგის გამტარი. ამდენად, პოლიტიკური აქტორების მიზანია, რაც შეიძლება დიდი როლი ითამაშონ მედიის დღის წესრიგის ფორმირებაში მათთვის სასურველი საკითხების გამოკვეთით და ამ გზით მოახდინონ გავლენა საზოგადოებაზე. მედიის დღის წესრიგის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ ნაშრომის ძირითადი კითხვაა, თუ როგორ გააშუქა პრო-სახელისუფლებო მედიამ კორონავირუსი და მასთან დაკავშირებული საკითხები ორ საარჩევნო პერიოდში (არჩევნებამდე და მის შემდეგ) და რამდენად დაემთხვა მისი დღის წესრიგი ხელისუფლების ცვალებად პრიორიტეტებს (ეპიდემიოლოგიური სიტუაციის სტაბილურად მძიმე პირობებში).

ზემოთ მოცემულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, დაკვირვების ობიექტად ტელეკომპანია „იმედი“ შეირჩა. მონიტორინგის არაერთი[24] ანგარიშის თანახმად,[25] „იმედი“ ხელისუფლებისადმი ლოიალური მედიასაშუალებაა და ამავდროულად, ჰყავს ყველაზე მეტი მაყურებელი ქართულ სატელევიზიო არხებს შორის.[26] კონკრეტულად, დაკვირვების ობიექტი იყო „იმედის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება - „ქრონიკა“, რომელიც ეთერში ყოველ დღე, ე.წ. საუკეთესო დროს (prime time), 20:00 საათზე გადის. ამასთან, დავაკვირდით „შაბათის ქრონიკასაც“ (ეთერში გადის შაბათს, ასევე 20:00 საათზე), რომელიც სამუშაო დღეების საინფორმაციო გამოშვებისგან ოდნავ განსხვავებული ფორმატისაა და ერთგვარად აჯამებს გასული კვირის მოვლენებს. დაკვირვება განხორციელდა 2020 და 2021 წლების არჩევნების წინა და შემდგომ თვეებში. კერძოდ, 2020 წლისთვის გამოიყო შემდეგი პერიოდები: 1 ოქტომბერი - 31 ოქტომბერი (საპარლამენტო არჩევნების დღე) და 2020 წლის 2 ნოემბერი - 30 ნოემბერი (21 ნოემბერს არჩევნების მეორე ტური ჩატარდა). 2021 წლისთვის გამოიყო შემდეგი პერიოდები: 1 სექტემბერი - 2 ოქტომბერი (თვითმმართველობის არჩევნების დღე) და 2021 წლის 4 ოქტომბერი - 30 ოქტომბერი (არჩევნების მეორე ტური). იმის გამო, რომ 2021 წლის არჩევნების პირველი ტურის შემდგომ დასაკვირვებელ პერიოდში სრულად მოექცა მეორე ტურის წინა დღეებიც, მეტი სიზუსტისთვის, დამატებით დავაკვირდით ნოემბრის პირველ ნახევარს, რათა დაგვედგინა, შეიცვალა თუ არა მედიის პრიორიტეტები მას შემდეგ, როცა არჩევნების მეორე ტურმაც ჩაიარა.

დასაკვირვებელი პერიოდების მსგავსი დაყოფით, შევეცადეთ გამოგვევლინა, როდის ხდებოდა პრო-სახელისუფლებო მედიასაშუალებისთვის პრიორიტეტული კორონავირუსის გავრცელების საკითხი და რა გავლენას ახდენდა მასზე წინასაარჩევნო პერიოდი. აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ დროის ყველა დასაკვირვებელ მონაკვეთში ეპიდემიოლოგიური სიტუაცია უმეტესწილად მძიმე იყო, რაც გამოიხატებოდა ვირუსის გავრცელებაში, აქტიური შემთხვევების მაღალ მაჩვენებელში და გარდაცვლილთა რიცხვის

[24] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. მედიამონიტორინგი. https://bit.ly/3pnZttu
[25] IREX. 2021. Vibrant Information Barometer. https://bit.ly/3pAaoAx
[26] TVMR საქართველო. სატელევიზიო აუდიტორიის კვლევა. https://bit.ly/3DEyaAp

ზრდაში.[27] ეს გარემოება კი, იძლევა მედიის მუშაობაზე დაკვირვებას მეტწილად თანაბარ პირობებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკითხის სიმძიმიდან გამომდინარე, ის მედიისთვის ყოველთვის აქტუალური უნდა ყოფილიყო, ხოლო თუ ეს ასე არ იყო, მაშინ შეგვიძლია მისი დღის წესრიგის სხვა ფაქტორებზე ვისაუბროთ.

საინფორმაციო გამოშვებებში დაკვირვება განხორციელდა იმაზე, თუ რა დროს გავიდა კორონავირუსის შესახებ სიუჟეტი ეთერში. თუ ის საინფორმაციო გამოშვების პირველ ნახევარ საათში გავიდა, შეიძლება ითქვას, რომ მედიასაშუალებამ ის ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ თემად ჩათვალა. საქართველოს კანონით მაუწყებლობის შესახებ,[28] სწორედ ნახევარი საათის შუალედში შეიძლება გაიჭრას საინფორმაციო გამოშვება რეკლამით. ამდენად, ის ახალი ამბების გამოშვების ე.წ. პირველ ბლოკად უნდა ჩავთვალოთ, რომელსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს და მედიასაშუალებისთვის საუკეთესო პერიოდია თავისი გზავნილების გასავრცელებლად. გარდა ამისა, „იმედის“ მიერ კორონავირუსის შესახებ მიძღვნილი დროის ქრონომეტრაჟიც დავითვალეთ, როგორც პირველი ნახევარ საათში გასული სიუჟეტებისთვის, ისე მთლიანი გამოშვებისთვის. კორონავირუსის თემისთვის დათმობილი წუთების მიხედვით, ასევე შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ რამდენად პრიორიტეტულად წარმოაჩენდა მას მედიასაშუალება დროის კონკრეტულ მონაკვეთში.

რაც შეეხება სიუჟეტების შინაარსობრივ მხარეს, ანუ რა უნდა ჩათვლილიყო კორონავირუსის გაშუქებად, ესენია: ზოგადი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, ინფიცირებისა და გარდაცვალების მაჩვენებელი, ჯანდაცვის სექტორის გადატვირთვის პრობლემა, შეზღუდვები და რეგულაციები, ეპიდემიოლოგიური სიტუაცია მსოფლიოს მასშტაბით, ახალი შტამები და ვაქცინაცია 2021 წლის შემთხვევაში. სიუჟეტები მოვიპოვეთ ტელეკომპანია იმედის ვებ-გვერდზე.[29]

დაკვირვების წინ გაკეთდა რამდენიმე დაშვება პრო-სამთავრობო მედიის მიერ პანდემიის გაშუქებასთან დაკავშირებით, კერძოდ: განსაკუთრებით 2020 წლის არჩევნებისთვის, „იმედს“ მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ უშუალოდ არჩევნების წინ ნაკლები აქცენტირება უნდა ჰქონოდა, ხოლო არჩევნების შემდგომ, მკვეთრად უნდა გააქტიურებულიყო კორონავირუსთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, მათ შორის, მოსალოდნელი ჩაკეტვების გასამართლებლად. რაც შეეხება 2021 წლის არჩევნებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმდინარე წელს სამთავრობო დღის წესრიგს ნაკლებად წარმოადგენდა კოვიდ-19 -ის ეპიდემიის შესახებ საზოგადოების ყურადღების აქცენტირება და შესაბამისად, კონკრეტული პრო-სახელისუფლებო მედიასაშუალებაც სწორედ ამ ხაზს უნდა გაჰყოლოდა. ზემოთ ისიც აღვნიშნეთ, რომ პანდემიის მეორე წელს საზოგადოებაც უფრო მეტად შეგუებულია ვირუსთან თანაცხოვრებას. მიუხედავად ამისა, მაინც სავარაუდოა, რომ არჩევნების პირველ ტურამდე და მის შემდგომ პერიოდებში „იმედის“ მიდგომები კვლავ განსხვავებული იქნებოდა. მსგავსი ვარაუდის საფუძველს იძლევა ამ პერიოდში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება, რისი

[27] COVID 19-ის სტატისტიკა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. https://bit.ly/31HNpLE
[28] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ. თავი VIII, მუხლი 63. https://bit.ly/31H7AsK
[29] ტელეკომპანია „იმედი“. გადაცემების არქივი - „ქრონიკა“. https://bit.ly/3Ezy7qy

გაშუქებაც პრო-სახელისუფლებო მედიისთვის, წინასაარჩევნოდ, ნაკლებად იქნებოდა მიზანშეწონილი, არჩევნებში მმართველი პარტიის გამარჯვების შემდეგ კი, მას შედარებით მეტი პრიორიტეტი დაეთმობოდა.

2021 წელს საინტერესოა იმაზე დაკვირვებაც, რამდენად აქტიურად უწყობდა ხელს მედიასაშუალება საყოველთაო ვაქცინაციის კამპანიას. აღნიშნულის ერთ-ერთი, ირიბი ხელშემწყობი კი, რთული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მედიის დღის წესრიგად ქცევა იქნებოდა. თუმცა, ვივარაუდეთ, რომ პრო-სახელისუფლებო მედიაში, არჩევნების წინ, მსგავსი დღის წესრიგი არ უნდა გამოკვეთილიყო.

პრო-სახელისუფლებო მედიაზე დაკვირვების[30] შედეგები და ანალიზი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში კორონავირუსის პირველი ტალღა საკმაოდ მსუბუქი მიმდინარეობით ხასიათდებოდა. 2020 წლის გაზაფხულის მიწურულს, საქართველოში სულ აღრიცხული იყო ინფიცირების 783 შემთხვევა, აქტიური შემთხვევების რაოდენობა კი 166-ს შეადგენდა. 31 მაისის მონაცემებით, გარდაცვლილი იყო 12 პაციენტი.[31] Deep Knowledge Group -ის ანგარიშის[32] თანახმად, იმ პერიოდისთვის უსაფრთხოების მსოფლიო რეიტინგში საქართველო 39-ე ადგილზე იყო, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში კი - პირველზე. აღსანიშნავია, რომ ეს რეალობა მკაცრი რეგულაციებისა და ფაქტობრივად სრული ჩაკეტვის შედეგად დადგა. ინფიცირების დაბალი მაჩვენებლების ფონზე, 2020 წლის ზაფხულში რეგულაციები ეტაპობრივად შემსუბუქდა.[33] ამ პერიოდში გაჩნდა კითხვები იმის შესახებაც, თუ რამდენად სრულდებოდა დარჩენილი რეგულაციები, განსაკუთრებით საკურორტო ზონებში. 2020 წლის სექტემბრიდან, ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური ვითარება ყოველდღიურად რთულდებოდა. კოვიდ-19 -ის მეორე ტალღა აჭარის რეგიონიდან დაიწყო და მომდევნო კვირეების განმავლობაში ფაქტობრივად მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა. 2020 წლის 27 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, კოვიდ-19 -ის 19 257 აქტიური შემთხვევა იყო. მსგავსი მაჩვენებელი არც მანამდე და არც არჩევნების მეორე ტურის წინ (21 ნოემბერი) არ ყოფილა.[34]

10 სექტემბრიდან 31 ოქტომბრამდე (საპარლამენტო არჩევნებამდე) ქვეყანაში შემდეგი რეგულაციები მოქმედებდა: პირბადის ტარება დახურულ საჯარო სივრცეებში; აკრძალული იყო სოციალური ღონისძიებები (ქორწილები, ქელეხები და ა.შ.); არ მუშაობდა თეატრები, კინოთეატრები და ბავშვთა გასართობი ცენტები; აიკრძალა სპორტული და კულტურული ღონისძიებები, რომელშიც 200 კაცზე მეტი მონაწილეობდა, **თუმცა, შეზღუდვა არ შეეხო წინასაარჩევნო შეხვედრებს**; დიდი ქალაქების სკოლებში, პროფესიულ და უმაღლეს

[30] პრო-სახელისუფლებო მედიის მთავარი საინფორმაციო გამოშვების მონიტორინგის დეტალური ანგარიში იხ. დანართში 1 (22-ე გვერდიდან).
[31] Worldometer. Coronavirus. Georgia. https://bit.ly/3ED36SJ
[32] Deep Knowledge Group. 2020. COVID-19 Regional Safety Assessment Eastern Europe and Central Asia. https://bit.ly/3dDie6U
[33] Fact-Check საქართველო. 2021. საქართველოში კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება და პრევენციული ქმედებები - ქრონოლოგია. https://bit.ly/3lwkS2G
[34] Worldometer. Coronavirus. Georgia. https://bit.ly/3ED36SJ

სასწავლებლებში სწავლა ჰიბრიდული (ზოგიერთ შემთხვევაში ონლაინ, ზოგან კი, საკლასო ოთახებსა და აუდიტორიებში) რეჟიმით მიმდინარეობდა, არ მუშაობდა საბავშვო ბაღები; 24 სექტემბერს აჭარაში აიკრძალა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა და რესტორნების მუშაობა 22:00 საათის შემდეგ; 16 ოქტომბრიდან რესტორნებზე გავრცელებული ეს შეზღუდვა თბილისში, იმერეთში და მცხეთაშიც ამოქმედდა. 23 ოქტომბერს დიდი ქალაქებისთვის გამოიცა საკოორდინაციო საბჭოს „მკაცრი რეკომენდაცია“ ღია სივრცეში პირბადის ტარების შესახებ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი შეუსრულებლობა დაჯარიმებას არ გამოიწვევდა.[35] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში ხელისუფლება უფრო მკაცრი რეგულაციების შემოღებას არ ემხრობოდა, მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბრის ბოლოს ინფიცირების მიმდინარე შემთხვევები თითქმის 20 ათასს აღწევდა. ხელისუფლების წარმომადგენლები და ვირუსთან გამკლავების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრი ეპიდემიოლოგები ვერ ხედავდნენ არჩევნების გადადების საჭიროებას,[36] საუბრობდნენ უსაფრთხო გარემოზე, პოტენციურ (მხოლოდ) წერტილოვან შეზღუდვებზე და გამორიცხავდნენ ქვეყნის მასშტაბით ჩაკეტვას.[37] 2020 წლის 24 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა გახარიამ განაცხადა, რომ სისტემური შეზღუდვები არ იგეგმებოდა და მხოლოდ წერტილოვანი ღონისძიებები იქნებოდა.[38] აღნიშნული მიდგომის ამხსნელად შეიძლება მოვიაზროთ ის, რომ მოახლოებული არჩევნების წინ მთავრობა ერიდებოდა რეგულაციების გამკაცრებასა და მოქალაქეთა დაჯარიმებას.

2020 წლის არჩევნების წინა თვეში (01.10.2020 – 31.10.2020-მდე) ტელეკომპანია „იმედის“ დღის წესრიგში უფრო მეტად ხვდებოდა პოლიტიკური საკითხებისა და საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის გაშუქება. ზემოხსენებულ პერიოდში მთავარ საინფორმაციო გამოშვებაზე მონიტორინგი განხორციელდა 27 დღის განმავლობაში. ამ დღეებში ეთერში გასული საინფორმაციო გამოშვების პირველ ნახევარ საათში კოვიდ-19 -ის და მასთან დაკავშირებული თემების შესახებ სიუჟეტი 9 შემთხვევაში გავიდა. აღნიშნული 9 შემთხვევიდან, კორონავირუსის გავრცელება მთავარი საინფორმაციოს პირველ საკითხად 4 შემთხვევაში იქცა. **ასევე აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ახლოვდებოდა არჩევნების დღე, კოვიდ-19 -ის შესახებ ინფორმაცია „იმედის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში სულ უფრო ნაკლები პრიორიტეტულობით შუქდებოდა. 20 ოქტომბრის შემდეგ, ეს თემა პირველ ნახევარ საათში აღარ მოხვედრილა და ის საინფორმაციოს დაწყებიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ გადიოდა.** როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ამ დღეებში, ქვეყანაში ვირუსის გავრცელების ერთ-ერთი პიკური პერიოდი იყო. რაც შეეხება „ქრონიკას“ მიერ კოვიდ-19 -ისთვის დათმობილ დროს: საპარლამენტო არჩევნების წინა ერთ თვეში ამ საკითხს მთავარი საინფორმაციოს პირველ 30

[35] Fact-Check საქართველო. 2021. საქართველოში კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება და პრევენციული ქმედებები - ქრონოლოგია. https://bit.ly/3lwkS2G

[36] რადიო თავისუფლება. 28.10.2020. ამირან გამყრელიძე: არჩევნების პროცესი იქნება საკმაოდ უსაფრთხო. უნდა მოვიხადოთ მოქალაქეობრივი ვალი. https://bit.ly/3otROuA

[37] ფორმულა. 14.10.2020. გამყრელიძე: იქნება წერტილოვანი შეზღუდვები, მათ შორის თბილისშიც. https://bit.ly/3xWAVvo

[38] სააგენტო „ინტერპრესნიუსი“. 24.10.2020. გიორგი გახარია - სისტემური შეზღუდვები არ იგეგმება, იქნება წერტილოვანი ღონისძიებები, ამის ფასი მარტივია - პირბადე უნდა ვატაროთ და ელემენტარული წესები დავიცვათ. https://bit.ly/3dG4DM6

წუთში, ჯამურად, 5 030 წამი (83.8 წთ) დაეთმო, ხოლო მთლიან გამოშვებაში - 9 815 წამი (163.6 წთ).

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ (48.22% პროპორციულში და გამარჯვება 13 მაჟორიტარულ ოლქში 30-დან) გაიმარჯვა.[39] ოპოზიციური პარტიების განცხადებით, არჩევნები გაყალბდა. მათ მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს და საპროტესტო გამოსვლები დაიწყეს.

თუკი წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლება კორონავირუსთან დაკავშირებული რეგულაციების გამკაცრებისგან თავს იკავებდა, არჩევნებში გამარჯვების შემდგომ ვითარება შეიცვალა. ახალი რეგულაციები ძალაში არჩევნების შემდგომი პირველი კვირიდანვე შევიდა. 3 ნოემბრიდან ღია სივრცეში სავალდებულო გახდა პირბადის ტარება; 22:00 საათის შემდეგ, რესტორნებს მუშაობა აეკრძალათ მთელი ქვეყნის მასშტაბით (აქამდე, ეს შეზღუდვა მხოლოდ თბილისში, მცხეთაში, ქუთაისსა და ბათუმში მოქმედებდა); საგანმანათლებლო პროცესში ონლაინ სწავლების რეჟიმმა უფრო მეტი გეოგრაფიული არეალი მოიცვა; 9 ნოემბრიდან, დიდ ქალაქებში აიკრძალა გადაადგილება 22:00 საათიდან 05:00 საათამდე პერიოდში; 22:00 საათის შემდეგ ყველა ორგანიზაციას, გარდა სამედიცინო და ფარმაცევტული დანიშნულებისა და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებისა, აეკრძალა მუშაობა.[40]

ფაქტობრივად არჩევნების პირველი ტურის დასრულებისთანავე, „იმედის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ეპიდ-ვითარების გაშუქება გააქტიურდა. **6 ნოემბრის მთავარ გამოშვებაში პირველივე საკითხად გავიდა ინტერვიუ[41] გიორგი გახარიასთან. ინტერვიუს მთავარი თემა კოვიდ-19 -ის პანდემია იყო (ქრონომეტრაჟი 600 წამი, 10 წუთი). აღნიშნულ ინტერვიუში გამოიკვეთა მედიის მიერ არა მხოლოდ ცალკეული საკითხის წინ წამოწევა, არამედ, ზემოთ ჩვენ მიერ ნახსენები ატრიბუტები. კერძოდ, შეფასებები იმის შესახებ, რომ ოპოზიციის მიერ დაანონსებული საპროტესტო აქციები ვირუსის გავრცელებას უწყობს ხელს და შექმნილ რეალობაში ასეთი ქმედებები ქვეყანას დიდ საფრთხეს უქმნის. 2020 წლის ნოემბერში, იმ დღეების რაოდენობა როცა ეთერში საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“ და „შაბათის ქრონიკა“ გავიდა, 24-ს შეადგენდა. ამ პერიოდში, წინასაარჩევნო პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა გამოშვების პირველ ნახევარ საათში გასული სიუჟეტების რაოდენობა, მათი ქრონომეტრაჟი და ამ თემისადმი მედიის მიერ ჯამურად დათმობილი დროის ხანგრძლივობაც.** კერძოდ, მთავარი საინფორმაციოს პირველ 30 წუთში კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 12 შემთხვევაში; პირველ 30 წუთში გასული სიუჟეტების ქრონომეტრაჟი 8 335 წამს (138.9 წთ), შეადგენდა, ხოლო საერთო ქრონომეტრაჟი - 13 710 წამს (228.5 წთ). ქვეყანაში არსებული მძიმე ეპიდ-ვითარება „იმედის“ განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არჩევნების მეორე ტურის (21 ნოემბერი) შემდგომ მოექცა. **ნოემბრის ბოლო კვირაში, 23 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, კორონავირუსი „იმედის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვების ნომერ პირველი საკითხი გახდა. პრო-სახელისუფლებო მედიის დღის წესრიგში კორონავირუსის ასეთი მაღალი ინტენსივობით შემოსვლას ხელისუფლების მიერ რეგულაციების გამკაცრება მოჰყვა.**

[39] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგები. https://bit.ly/3DMK76N

[40] Fact-Check საქართველო. 2021. საქართველოში კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება და პრევენციული ქმედებები - ქრონოლოგია. https://bit.ly/3lwkS2G

[41] ტელეკომპანია „იმედი“. საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“, 06.11.2020. https://bit.ly/3GyrGos

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 28 ნოემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით, ქვეყნის მასშტაბით აიკრძალა ქვეითებისა და ტრანსპორტის გადაადგილება დღე-ღამის 21:00 საათიდან 05:00 საათამდე მონაკვეთში; აიკრძალა მგზავრების რეგულარული საქალაქთაშორისო გადაყვანა, მათ შორის - რკინიგზით, ავტობუსით, სამარშრუტო ტაქსით. შეზღუდვა არ გავრცელდა მხოლოდ მსუბუქ ავტომობილებზე (მათ შორის ტაქსებზე); რესტორნები და კვების ობიექტები სრულად გადავიდნენ მიტანის სერვისზე; დაიხურა ფიტნეს დარბაზები და საცურაო აუზები; შეჩერდა სპორტული, სახელოვნებო და კულტურული წრეების/სტუდიების საქმიანობა; ყველა სახის კონფერენციის, ტრენინგის, კულტურული, გასართობი ღონისძიებების ჩატარება დასაშვები გახდა მხოლოდ ონლაინ ფორმატით; დიდ ქალაქებსა და ზამთრის საკურორტო ზონებში ასევე დაწესდა დამატებითი რეგულაციები.[42]

როგორც მედიაზე დაკვირვებამ აჩვენა, დადასტურდა ჩვენი პირველი დაშვება იმის შესახებ, რომ 2020 წლის არჩევნებისთვის, პრო-სახელისუფლებო მედიას მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ უშუალოდ არჩევნების წინ ნაკლები აქცენტირება უნდა ჰქონოდა, ხოლო არჩევნების შემდგომ, ამ მიმართულებით უნდა გააქტიურებულიყო, მათ შორის, მოსალოდნელი ჩაკეტვების გასამართლებლად. ეს მიგნება განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ ფონზე, რომ არჩევნების წინა თვეში (ოქტომბერი) დასაკვირვებელი დღეების რაოდენობა 27 იყო, ხოლო ნოემბერში - 24. მონიტორინგის დღეების შემცირების მიუხედავად, საკითხის გაშუქების შესაფასებლად განსაზღვრულ ყველა კომპონენტში ზრდა დაფიქსირდა.

გრაფიკი 1: *„იმედის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში კორონავირუსის თემის გაშუქება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე და მის შემდეგ*



[42] Fact-Check საქართველო. 2021. საქართველოში კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება და პრევენციული ქმედებები - ქრონოლოგია. https://bit.ly/3lwkS2G

***

2021 წელს, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში, ეპიდსიტუაცია კვლავ მძიმე იყო, მიუხედავად იმისა, რომ წლის პირველი ნახევრიდან ჩვენს ქვეყანაში უკვე ხელმისაწვდომია სხვადასხვა ტიპის ვაქცინები. კოვიდ-19 -ის დელტა შტამმა და ვაქცინაციის კამპანიის შეფერხებამ (წლის ბოლომდე დაგეგმილი იყო საქართველოს მოზრდილი მოსახლეობის 60%-ის აცრა, თუმცა რეალური მაჩვენებლები სამიზნეს მნიშვნელოვნად ჩამორჩება[43]), ვირუსის ახალი, უფრო მძლავრი ტალღები გამოიწვია.[44]

აღსანიშნავია, რომ გასულ წელთან შედარებით, 2021 წელს შეიცვალა მიდგომები ვირუსის კონტროლის კუთხით. პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გიორგი გახარიას გადადგომისა და მის შემცვლელად ირაკლი ღარიბაშვილის მოსვლის შემდგომ, ახალმა პრემიერმა განაცხადა, რომ აღარ აპირებდა მკაცრი რეგულაციების გამოყენებას ვირუსის შეკავების მიზნით, რადგან ამას ეკონომიკა ვეღარ გაუძლებდა.[45] აღნიშნული გადაწყვეტილების კიდევ ერთ მიზეზად მთავრობამ ისიც დაასახელა, რომ ქვეყანაში ხელმისაწვდომი იყო სხვადასხვა ვაქცინა და მოქალაქეებს შეეძლოთ თავი ამ გზით დაეცვათ. ამდენად, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინა და შემდგომ პერიოდში ბევრად ნაკლები შეზღუდვა მოქმედებდა,[46] ვიდრე 2020 წელს. ამასთან, გაჩნდა კითხვები იმაზეც, თუ როგორ კონტროლდებოდა აღნიშნული რეგულაციები. მაგალითისთვის, თუკი 2020 წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველდღიურად ავრცელებდა ვირუსის კონტროლის მიზნით დაწესებული შეზღუდვების დამრღვევთა გამოვლენისა და დაჯარიმების სტატისტიკას, ბოლო პერიოდში მსგავსი პრაქტიკა შეწყდა. ასევე, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, ეპიდემიის გამო დაწესებული საგანგებო მდგომარეობის დროს რეგულაციების დამრღვევ მოქალაქეთა ჯარიმებიც გაუქმდა.[47] აქვე აღსანიშნავია, რომ პარლამენტის მიერ პრემიერის ამ ინიციატივის დამტკიცების დღეს, 2021 წლის 10 სექტემბერს, ტელეკომპანია „იმედმა“ აღნიშნულ ფაქტს მთავარი საინფორმაციო გამოშვების პირველ ნახევარ საათში 3 წუთიანი სიუჟეტი დაუთმო,[48] ხოლო უშუალოდ ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ამ დღეს „იმედის“ ფოკუსში ვერ მოხვდა.

2020 წლის არჩევნების წინა პერიოდისგან განსხვავებით (როცა მთავრობა ჯერ კიდევ პოზიციონირებდა ვირუსთან წარმატებული მებრძოლის იმიჯით), 2021 წელს, როცა საქართველოს უკვე დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა მწვანე სტატუსი, ინფიცირებისა[49] და გარდაცვალების შემთხვევები[50] კვლავ მაღალი იყო, კორონავირუსთან მიმართებაში ხელისუფლების დამოკიდებულებაც შეიცვალა. შეიძლება ითქვას, მასზე აქცენტირება მთავრობის რეიტინგისთვის ნეგატიური შედეგის მომტანი გახდა. მეორე მხრივ, ქვეყანაში შეფერხებით მიმდინარე ვაქცინაციისა და მძიმე ეპიდ-ვითარების პარალელურად, კოვიდ-19 -ის

[43] დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. ვაქცინაციის პროცესი. ვაქცინაციის პროგრამა. https://bit.ly/31UkjbO
[44] Worldometer. Coronavirus. Georgia. https://bit.ly/3ED36SJ
[45] რადიო თავისუფლება. 05.08.2021. ღარიბაშვილი: გაუმართლებელია ქვეყნის ხელახალი ჩაკეტვა, ეკონომიკას არ შევაჩერებთ. https://bit.ly/3IqtBx6
[46] Fact-Check საქართველო. 2021. საქართველოში კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება და პრევენციული ქმედებები - ქრონოლოგია. https://bit.ly/3IwkS2G
[47] რადიო თავისუფლება. 24.06.2021. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით პანდემიის დროს გამოწერილი ჯარიმები უქმდება. https://bit.ly/3psw2qk
[48] ტელეკომპანია „იმედი“. საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“, 10.09.2021. https://bit.ly/3pRNd4D
[49] Worldometer. Coronavirus. Georgia. https://bit.ly/3ED36SJ
[50] ზურაბ ჭიაბერაშვილი. Forbes Georgia. 2021. საქართველო სიკვდილის პირისპირ. https://bit.ly/3DPbHka

ირგვლივ მიმდინარე მოვლენების მედიის დღის წესრიგში ყოფნა, შესაძლოა, ვაქცინაციის გააქტიურების ხელშემწყობი გამხდარიყო. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს საკითხი წინასაარჩევნო პერიოდში „იმედის“ პრიორიტეტებში ვერ მოხვდა.

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინა თვეში (01.09.2021 – 02.10.2021-მდე) „იმედის“ დღის წესრიგში უფრო მეტად ხვდებოდა პოლიტიკური საკითხებისა და საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის გაშუქება. ზემოხსენებულ პერიოდში მთავარ საინფორმაციო გამოშვებაზე მონიტორინგი განხორციელდა 27 დღის განმავლობაში. ამ დღეებში ეთერში გასული საინფორმაციო გამოშვების პირველ ნახევარ საათში კოვიდ-19 -ის და მასთან დაკავშირებული თემების შესახებ სიუჟეტი 1 შემთხვევაში გავიდა (ქრონომეტრაჟი: 4.7 წთ). იმავე პერიოდში, 20:00 საათიან „ქრონიკაში“, ჯამურად, კოვიდ-19 -ის თემას 3 205 წამი (53.4 წთ) მიეძღვნა. **აქვე აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის 27 დღიდან, 10 შემთხვევაში ამ თემაზე სიუჟეტი საერთოდ არ გასულა.**

პრო-სახელისუფლებო მედიასაშუალებაში კოვიდ-19 -ის თემის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად და სრაფად (როგორც ეს 2020 წელს მოხდა) თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტურის შემდგომ არ შეცვლილა, თუმცა, ამ საკითხისადმი მედიის მიერ დათმობილი დრო და პრიორიტეტულობა მაინც გაიზარდა. კერძოდ, მონიტორინგის 24 დღიან მონაკვეთში (04.10.2021 – 30.10.2021) კორონავირუსის შესახებ სიუჟეტი დღის მთავარი გამოშვების პირველ 30 წუთში 4 შემთხვევაში გავიდა (ქრონომეტრაჟი: 930 წმ, 15.5 წთ). რაც შეეხება გასული სიუჟეტების საერთო ხანგრძლივობას, მან 4 365 წამი (72.8 წთ) შეადგინა. აქვე აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში მხოლოდ 4 დღე იყო ისეთი, როცა კორონავირუსის თემა მთავარ გამოშვებაში ვერ მოხვდა. ამათგან ერთ-ერთი იყო 27 ოქტომბერი, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა მრავალრიცხოვანი შეკრება არჩევნების მეორე ტურის (30 ოქტომბერი) წინ.[51] კორონავირუსის გაშუქებაში „იმედის“ მიდგომები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა არჩევნების მეორე ტურის შემდგომ.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ 2021 წელსაც, არჩევნებმა გავლენა მოახდინა პრო-სახელისუფლებო მედიასაშუალების პრიორიტეტებზე, მაგრამ არა იმ ინტენსივობით, როგორც 2020 წელს. ინტენსივობის ნაკლებობა იმითაც შეიძლება იყოს განპირობებული, რომ მიმდინარე წელს მთავრობამ არჩევნების შემდგომ რეგულაციების გამკაცრების გადაწყვეტილება არ მიიღო.

[51] ტელეკომპანია „იმედი“. საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“, 27.10.2021. https://bit.ly/3DJXLYw

გრაფიკი 2: *„იმედის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში კორონავირუსის თემის გაშუქება 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე და მის შემდეგ*



დასკვნა

ნაშრომში, დღის წესრიგის თეორიის ირგვლივ არსებული ძირითადი ლიტერატურის განხილვამ გვიჩვენა, რომ მედიას შეუძლია წინ წამოსწიოს კონკრეტული პრიორიტეტული საკითხები და ამ გზით „უკარნახოს“ საზოგადოებას, თუ რაზე იფიქროს. ამასთან, გამოიკვეთა ისიც, რომ მედიის მიერ გაშუქებულ საკითხთა წყება შეიძლება სხვადასხვა აქტორების ინტერესებისგანაც შედგებოდეს. მაგალითად, პოლიტიკური ლიდერებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების მიერ სუბსიდირებული კომპონენტებით. ამავდროულად, ამა თუ იმ პოლიტიკური მხარისადმი მიკერძოებული მედია უფრო დიდი დოზით ხდება კონკრეტული პოლიტიკური დღის წესრიგის გამტარი. ამდენად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მედიის როლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ ნაშრომის ძირითადი კითხვა იყო, თუ როგორ გააშუქა ყველაზე რეიტინგულმა პრო-სახელისუფლებო მედიამ კორონავირუსი და მასთან დაკავშირებული საკითხები ორ საარჩევნო პერიოდში (არჩევნებამდე და მის შემდეგ) და რამდენად დაემთხვა მისი დღის წესრიგი ხელისუფლების ცვალებად პრიორიტეტებს (ეპიდემიოლოგიური სიტუაციის სტაბილურად მძიმე პირობებში). დაკვირვების ობიექტად ტელეკომპანია „იმედი“ შეირჩა, კონკრეტულად კი, „იმედის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება - „ქრონიკა“. დაკვირვება განხორციელდა 2020 და 2021 წლების არჩევნების წინა და შემდგომ თვეებში.

დაკვირვებამ დაადასტურა ჩვენ მიერ გამოთქმული დაშვებები იმის შესახებ, რომ წინასაარჩევნო პერიოდებში პრო-სახელისუფლებო მედია ნაკლებ ყურადღებას უთმობდა კოვიდ-19 -ს. მძიმე ეპიდ-ვითარების ფონზე, ბუნებრივია, ამ თემის აქცენტირება ნაკლებად შედიოდა ხელისუფლების ინტერესებშიც. მედიასაშუალების ეს მიდგომა განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა და შემდგომ პერიოდებში. კერძოდ, არჩევნების დღემდე კორონავირუსის გაშუქებას ტელეკომპანია „იმედმა“ გაცილებით ნაკლები პრიორიტეტი და დრო დაუთმო, ვიდრე არჩევნების შემდგომ. არჩევნების წინა კვირაში, პანდემიის შესახებ სიუჟეტები ეთერში მთავარი საინფორმაციო გამოშვების დაწყებიდან ერთი საათის შემდგომ გადიოდა. გამოიკვეთა ისიც, რომ 2020 წლის არჩევნების პირველი ტურის შემდგომ, რომელშიც მმართველმა პარტიამ გაიმარჯვა, „იმედზე“ კოვიდ-19 -ის გაშუქება შესამჩნევად გააქტიურდა, ხოლო არჩევნების მეორე ტურის (21 ნოემბერი) შემდგომ კი, მონიტორინგის ყოველი დღის განმავლობაში კორონავირუსი „იმედის“ ნომერ პირველი საკითხი იყო. მედიის დღის წესრიგის ასეთ რადიკალურ ცვლილებას კი, ხელისუფლების მიერ კოვიდ-რეგულაციების მთელი ქვეყნის მასშტაბით გამკაცრება მოჰყვა.

რაც შეეხება 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინა პერიოდს, აქაც გამოიკვეთა, რომ კოვიდ-19 „იმედის“ პრიორიტეტებში ვერ ხვდებოდა. მეტიც, მონიტორინგის 27 დღიდან 10 შემთხვევაში, ამ თემაზე სიუჟეტი საერთოდ არ გასულა. არჩევნების შემდგომ (რომელშიც გამარჯვება კვლავ მმართველმა პარტიამ მოიპოვა) პრო-სახელისუფლებო მედიასაშუალებაში კოვიდ-19 -ის თემის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად და სწრაფად (როგორც ეს 2020 წელს მოხდა) არ შეცვლილა, თუმცა, ამ საკითხისადმი მედიის მიერ საეთერო დრო (მათ შორის, მთავარი საინფორმაციოს პირველ ნახევარ საათში) მაინც გაიზარდა. საბოლოო ჯამში, შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ 2021 წელსაც, არჩევნებმა გავლენა მოახდინა პრო-სახელისუფლებო მედიასაშუალების პრიორიტეტებზე, მაგრამ არა იმ ინტენსივობით, როგორც 2020 წელს. ინტენსივობის ნაკლებობა იმითაც შეიძლება იყოს განპირობებული, რომ მიმდინარე წელს მთავრობამ არჩევნების შემდგომ რეგულაციების გამკაცრების გადაწყვეტილება არ მიიღო.

ზემოაღნიშნული შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი დაშვებები პრო-სახელისუფლებო მედიაში კოვიდ-19 -ის გაშუქებასა და მიდგომების ცვლილებებთან დაკავშირებით ცალსახად დადასტურდა. ცალკე კვლევის საგანია ის, თუ რა გავლენა მოახდინა მედიის ასეთმა მიდგომამ საზოგადოების დღის წესრიგზე, თუმცა, იმის თქმა შეგვიძლია, რომ პრო-სახელისუფლებო მედია მიჰყვებოდა ხელისუფლების ცვალებად პრიორიტეტებს, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს მედიის დღის წესრიგის მნიშვნელობას, მათ შორის, ხელისუფლებისათვის. ასევე, დაკვირვების შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება იმის თქმაც, რომ მედიის დღის წესრიგი შეიძლება სხვადასხვა აქტორების, მათ შორის პოლიტიკური წრეების წარმომადგენელთა დღის წესრიგისგანაც შედგება და თუ ვსაუბრობთ ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილ მედიაზე, ეს ურთიერთკავშირი კიდევ უფრო შესამჩნევია. პრო-სახელისუფლებო მედიაზე დაკვირვებით, შეიძლება პროგნოზის გაკეთება ხელისუფლების შემდგომ ნაბიჯებზე (როგორც ეს 2020 წლის არჩევნების შემდგომ, რეგულაციების გამკაცრებამდე მოხდა) და პირიქით, ხელისუფლების ცალკეული ქმედებები მოგვიანებით მედიის დღის წესრიგშიც აირეკლება. აღნიშნული ნაშრომის მიგნებები ქმნის წინაპირობას სხვადასხვა ტიპის კვლევისთვის. სამომავლოდ, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა, თუ დავაკვირდებოდით ხელისუფლებისადმი კრიტიკულად

განწყობილი მედიასაშუალებების მუშაობას იგივე კონტექსტში, რაც მოგვცემდა საშუალებას, სხვადასხვა პოლუსზე მყოფი მედიასაშუალებების დღის წესრიგების მკვეთრი განსხვავებები დაგვენახა. ამასთან, კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკვლევ საკითხს შეიძლება წარმოადგენდეს პრო-სახელისუფლებო მედიის შინაარსზე დაკვირვებაც, რათა გამოიკვეთოს არა მხოლოდ მისი პრიორიტეტები, არამედ მეორე დონის დღის წესრიგის ატრიბუტებიც, ანუ ის, თუ როგორი შეფუთვითა და კონტექსტებით შუქდებოდა კოვიდ-19 -ის პანდემია დროის განსხვავებულ მონაკვეთებში.

გამოყენებული ლიტერატურა

David Weaver, Doris Graber, Maxwell McCombs and Chaim Eyal. 1981. Media Agenda Setting in a Presidential Election: Issues, Images and Interest Greenwood, Westport, CT.

David H. Weaver. 2007. Thoughts on Agenda Setting, Framing, and Priming. *Journal of Communication,* 57, 142-147. https://bit.ly/3d5m8F2

Maria Jose Canel, Juan Pablo Llamas, and Federico Rey. 1996. 'El primer nivel del efecto agenda setting en la informacion local: Los 'problemas mas importantes" de la ciudad de Pamplona'. ['The first level agenda setting effect on local information: The 'most important problems' of the city of Pamplona'.] *Comunicacion y Sociedad*, 9, 1&2, pp.17-38.

Maxwell E. McCombs and Donald L. Shaw. 1972. The Agenda-Setting Function of Mass Media. *The Public Opinion Quarterly,* Vol. 36, No. 2 (Summer, 1972), pp. 176-187. https://bit.ly/3DUFgld

Maxwell E. McCombs. 2004. Setting the Agenda: The Mass Media and Public Opinion. *Book*. https://bit.ly/3cZE3Nx

Maxwell McCombs. 2011. The Agenda-Setting Role of the Mass Media in the Shaping of Public Opinion. https://bit.ly/32CdCLV

Mohammad Tavakolifar, Ayishat Omar, Tesfaye T. Lemma, Grant Samkin. 2021. Media attention and its impact on corporate commitment to climate change action. *Journal of Cleaner Production,* 313. https://bit.ly/3paKt1Z

H. Denis Wu and Renita Coleman. 2009. Advancing an Agenda-Setting Theory - the Comparative Strength and New Contingent Conditions of the Two Levels of an Agenda-Setting Effect. *J&MC Quarterly,* Vol. 86, No. 4. https://bit.ly/3d4X6pv

Qiulin Lua, Brian J. Mihalik, Bob Heere, Fang Meng, Amanda Fairchild. 2019. Media effect on resident attitudes toward an Olympic bid. *Tourism Management Perspectives,* 29, 66-75. https://bit.ly/3lkp3yq

Ray Funkhouser. 1973. The issues of the sixties, *Public Opinion Quarterly* 37, 62-75. https://doi.org/10.1086/268060

Saodah Wok, Ezhar Tamam, Suci Elsa Maria. 2010. Pattern of the News Media Consumption and News Discussion Among Youth: A Test of Agenda Setting Theory. https://bit.ly/3o4nbeZ

Stefaan Walgrave and Peter Van Aelst. 2006. The Contingency of the Mass Media's Political Agenda Setting Power: Toward a Preliminary Theory. *Journal of Communication*, 56 (2006) 88–109. doi:10.1111/j.1460-2466.2006.00005.x

Toshio Takeshita. 1993. Agenda-setting effects of the press in a Japanese local election. *Studies of Broadcasting*, 29, pp.193-216.

Walter Lippmann. 1922. Public Opinion. *Book*. https://bit.ly/3FPs0yF

დანართი 1: მონიტორინგის დეტალური ანგარიში

2020 წლის საარჩევნო პერიოდი

01.10.2020 - „ოცნების“ საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია ორი საათის განმავლობაში. კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი 22:12 საათზე გავიდა. ქრონომეტრაჟი 30 წმ.

02.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი ბოლო ბლოკში, 21:02 საათზე გავიდა. ქრონომეტრაჟი 300 წმ.

03.10.2020 (შაბათი - მოკლე გადაცემა) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:15 საათზე. ქრონომეტრაჟი 230 + (მსოფლიო პანდემია და ქართული ოპოზიციის კრიტიკა შეკრებების გამო) 325 წმ.

05.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა პირველ ბლოკში, 20:13 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 565 წმ.

06.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:41 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 380 წმ.

07.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:27 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 345 წმ + სტოპ კოვ. აპლიკაციის გაშუქება 170 წმ.

08.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:48 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 290 წმ.

09.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:54 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 260 წმ.

10.10.2020 (შაბათის ქრონიკა) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:00 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 55 წმ.

12.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:24 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 585 წმ.

13.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:46 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 375 წმ.

14.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:02 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 390 წმ. + მსოფლიო პანდემია 20:55 სთ-დან. ქრონომეტრაჟი 400 წმ.

15.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:02 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 480 წმ. + მსოფლიო ეპიდ-ვითარება 20:49 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 235 წმ.

16.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:28 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 370 წმ. + მსოფლიო პანდემია 21:04 სთ-დან. ქრონომეტრაჟი 290 წმ.

17.10.2020 (შაბათის ქრონიკა) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

19.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:02 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 1 200 წმ.

20.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:02 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 60 წმ. მეორე სიუჟეტი გავიდა 20:26 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 310 წმ.

21.10.2020 (თავდასხმა საქართველოს ბანკზე) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:56 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 270 წმ.

22.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:12 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 240 წმ.

23.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:51 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 300 წმ.

24.10.2020 (შაბათის ქრონიკა) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:59 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 270 წმ.

26.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:53 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 380 წმ.

27.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:08 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 215 წმ.

28.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:18 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 270 წმ.

29.10.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

30.10.2020 („ოცნების“ შემაჯამებელი შეხვედრა ლაივში, 45 წთ) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:47 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 225 წმ.

31.10.2020 (არჩევნების დღე) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

მონიტორინგის პერიოდი - 27 დღე.

პირველ 30 წუთში კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 9 შემთხვევაში.

პირველ 30 წუთში გასულების ქრონომეტრაჟი: 5 030 წმ; 83.8 წთ

საერთო ქრონომეტრაჟი: 9 815 წმ; 163.6 წთ

02.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:59 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 215 წმ.

03.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:02 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 475 წმ.

04.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:54 სთ-ზე (კონტექსტი - მძიმე ეპიდვითარების დროს სააკაშვილის მოწოდება აქციებისკენ, მავნებლურია). ქრონომეტრაჟი 265 წმ.

05.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:01 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 745 წმ.

06.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ ინტერვიუ გიორგი გახარიასთან გავიდა 20:01 სთ-ზე. პირველივე თემა იყო კორონავირუსი. ქრონომეტრაჟი 600 წმ. სიუჟეტი გავიდა 20:27 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 400 წმ.

07.11.2020 (შაბათი) - სპეციალური ეთერი მიეძღვნა 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებს. საინფორმაციო გამოშვება გავიდა 22 სთ-ზე. კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 22:59 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 145 წმ.

09.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:04 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 270 წმ.

10.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:53 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი (ვირუსი საქართველოში და მსოფლიოში) 580 წმ.

11.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:54 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 340 წმ.

12.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:59 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 350 წმ.

13.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:47 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი (საქართველო და მსოფლიოს ეპიდ-ვითარება) 630 წმ.

14.11.2020 (შაბათი, 21 სთ) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

16.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:44 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი (საქართველო 300 წმ. და მსოფლიოს 300 წმ. ეპიდ-ვითარება) 600 წმ.

17.11.2020 (სპეც. გამოშვება, პომპეოს ვიზიტი) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:57 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 425 წმ.

18.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:00 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი (საქართველო და მსოფლიოს ეპიდ-ვითარება) 420 წმ.

20.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:20 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 455 წმ.

21.11.2020 (შაბათი, არჩევნების მეორე ტური) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:55 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 230 წმ.

23.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:01 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი (საქართველოს 600 წმ. და მსოფლიოს ეპიდ-ვითარება 340 წმ.) 940 წმ.

24.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:01 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი (საქართველოს და მსოფლიოს ეპიდ-ვითარება) 1 070 წმ.

25.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:01 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი (საქართველოს და მსოფლიოს ეპიდ-ვითარება) 1 120 წმ.

26.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:02 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 845 წმ.

27.11.2020 - (ახალი შეზღუდვები) კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:02 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 710 წმ.

28.11.2020 (შაბათის ქრონიკა) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:01 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 150 წმ. ინტერვიუ საზ. ჯანდაცვის სპეციალისტთან 20:31 სთ-დან. 720 წმ.

30.11.2020 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:21 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 1 010 წმ.

მონიტორინგის პერიოდი - 24 დღე.

პირველ 30 წუთში კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 12 შემთხვევაში.

პირველ 30 წუთში გასულების ქრონომეტრაჟი: 8 335 წმ; 138.9 წთ

საერთო ქრონომეტრაჟი: 13 710 წმ; 228.5 წთ

2021 წლის საარჩევნო პერიოდი

01.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

03.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:50 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 200 წმ.

04.09.2021 (შაბათის ქრონიკა) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:15 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 30 წმ.

06.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:13 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 210 წმ.

07.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:03 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 170 წმ.

08.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

09.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

10.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა. *20:25 სთ-ზე გავიდა სიუჟეტი იმის შესახებ, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს გამოწერილი ჯარიმები განულდა. ქრონომეტრაჟი 180 წმ.*

11.09.2021 (შაბათის ქრონიკა) კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:55 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 160 წმ.

13.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:47 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 270 წმ.

14.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:58 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 250 წმ.

15.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:53 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 200 წმ.

16.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:02 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 205 წმ.

17.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:00 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 185 წმ.

18.09.2021 (შაბათის ქრონიკა) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

20.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:03 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 200 წმ.

21.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

22.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:00 სთ-ზე. 135 წმ.

23.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:55 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 160 წმ.

24.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:27 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 280 წმ.

25.09.2021 (შაბათის ქრონიკა) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

27.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

28.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი (ცოცხალი სწავლების შესახებ) გავიდა 20:49 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 180 წმ.

29.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი (ცოცხალი სწავლების შესახებ) გავიდა 21:00 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 200 წმ.

30.09.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:57 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 170 წმ.

01.10.2021 (სააკაშვილის ჩამოსვლა) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

02.10.2021 (არჩევნების დღე) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ იძებნება.

მონიტორინგის პერიოდი - 27 დღე.

პირველ 30 წუთში კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 1 შემთხვევაში.

პირველ 30 წუთში გასულის ქრონომეტრაჟი: 280 წმ; 4.7 წთ

საერთო ქრონომეტრაჟი: 3 205 წმ; 53.4 წთ

04.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:00 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 175 წმ.

05.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:54 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 200 წმ.

06.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:45 სთ-ზე გავიდა. ქრონომეტრაჟი (საქართველო და მსოფლიოს ეპიდ-ვითარება) 380 წმ.

07.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:58 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 170 წმ.

08.10.2021 (ბათუმის ტრაგედია) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:00 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 170 წმ.

09.10.2021 (შაბათის ქრონიკა) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

11.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:44 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 200 წმ.

12.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:08 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 245 წმ.

13.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:25 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 215 წმ.

14.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:49 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 165 წმ.

15.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:47 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 195 წმ.

16.10.2021 (შაბათის ქრონიკა) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

18.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:51 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 225 წმ.

19.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:46 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 240 წმ.

20.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:58 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 210 წმ.

21.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:01 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 220 წმ.

22.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:28 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 290 წმ.

23.10.2021 (შაბათი) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

25.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:25 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 180 წმ.

26.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:36 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 320 წმ.

27.10.2021 („ოცნების“ შემაჯამებელი შეკრება) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

28.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი (საქართველო და მსოფლიოს ეპიდ-ვითარება) გავიდა 20:52 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 365 წმ.

29.10.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:44 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 200 წმ.

30.10.2021 (შაბათი, არჩევნების მეორე ტური) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ იძებნება.

მონიტორინგის პერიოდი - 24 დღე.

პირველ 30 წუთში კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 4 შემთხვევაში.

პირველ 30 წუთში გასულის ქრონომეტრაჟი: 930 წმ; 15.5 წთ

საერთო ქრონომეტრაჟი: 4 365 წმ; 72.8 წთ

01.11.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:56 სთ. ქრონომეტრაჟი 190 წმ.

02.11.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:52 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 175 წმ.

03.11.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:41 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი (საქართველო და მსოფლიოს ეპიდ-ვითარება) 495 წმ.

04.11.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:42 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 410 წმ.

05.11.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:43 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი (საქართველო და მსოფლიოს ეპიდ-ვითარება) 420 წმ.

06.11.2021 (შაბათის ქრონიკა) - კოვიდ-19 -ის შესახებ ინტერვიუ თენგიზ ცერცვაძესთან 20:46 სთ-ზე გავიდა. ქრონომეტრაჟი 1 170 წმ.

08.11.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:22 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 325 წმ.

09.11.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:42 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 195 წმ.

10.11.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:53 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 420 წმ.

11.11.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:53 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი (საქართველო და მსოფლიოს ეპიდ-ვითარება) 390 წმ.

12.11.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 20:47 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 195 წმ.

13.11.2021 (შაბათის ქრონიკა) - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

15.11.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი გავიდა 21:03 სთ-ზე. ქრონომეტრაჟი 200 წმ.

16.11.2021 - კოვიდ-19 -ის შესახებ სიუჟეტი არ გავიდა.

მონიტორინგის პერიოდი - 14 დღე

პირველ 30 წუთში კოვიდ-19 -ის შესახებ 1 სიუჟეტი გავიდა.

პირველ 30 წუთში გასულების ქრონომეტრაჟი 325 წმ.

საერთო ქრონომეტრაჟი: 4 585 წმ; 76.4 წთ